ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის

წლიური ანგარიში

2022-2023

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნტქის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის წლიური ანგარიში 2022 წლის 28 იანვრიდან 2023 წლის 28 იანვრის ჩათვლით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოში (შემდგომში - თბილისის საკრებულო) 2022 წლის 28 იანვარს, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა. აღნიშნულ ბრძანებაში შესული ბოლო ცვლილების მიხედვით (იხ.დანართი), დღეის მდგომარეობით, საბჭო 28 წევრითაა წარმოდგენილი (22 ქალი და 6 კაცი).

დედაქალაქის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდგომში - გენდერული თანასწორობის საბჭო/საბჭო) 2016 წელს საკრებულოს ზემოხსენებული დადგენილებით შეიქმნა - დამტკიცდა საბჭოს დებულება, განისაზღვრა საბჭოს საქმიანობის წესი. აღნიშნული პერიოდიდან საბჭო კოორდინაციას უწევდა/უწევს: ცენტრალური ხელისუფლების გენდერული პოლიტიკის ადგილობრივ მმართველობაში ასახვას, გენდერული მიმართულებით საკითხების სისტემურ შესწავლას - არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესაბამის გადაწყვეტას, მართვასა და მონიტორინგს.

საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს:

- საქართველოს კონსტიტუციით;
- საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
- საქართველოს კანონით „გენდერული თანასწორობის შესახებ";
- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის №26-80 დადგენილებით (შემდგომში - საბჭოს დებულება);
- სხვა სამართლებრივი აქტებით.

საბჭოს დებულების თანახმად, მის უფლებამოსილებასა და ამოცანებს შორისაა:

- **გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის წარმართვა;**
- **გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა;**
- **გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, ასევე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და სხვა.**

გენდერული თანასწორობის მუნიციპალურ პოლიტიკას საბჭო წარმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიითა და გენდერული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

გენდერული სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკა, მისი მიზნები, ამოცანები, პრინციპები და განვითარების პრიორიტეტები. სტრატეგია მიმართულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნისკენ. სტრატეგია წარმოადგენს სამოქმედო გეგმის და მისგან გამომდინარე, ღონისძიებების შემუშავების საფუძველს.

სამოქმედო გეგმით დეტალურადაა გაწერილი სტრატეგიის 5 ძირითადი მიზანი. თითოეული მიზნის შესაბამისად - ამოცანები, საქმიანობა, (საქმიანობის სახეობები), საქმიანობის ინდიკატორები, საქმიანობაზე პასუხისმგებელი ორგანო/ები, პარტნიორი უწყებები, შესრულების ვადები და სხვა.

საბჭო, სამოქმედო გეგმის საფუძველზე შემუშავებული ღონისძიებების საშუალებით, ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას, ქალთა როლის მხარდამჭერი ინიციატივების განხორციელებას, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციას, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და სხვა.

2022 წლის 28 იანვრიდან 2023 წლის 28 იანვრის ჩათვლით გენდერული თანასწორობის საბჭოს 8 სხდომა, არაერთი სამუშაო შეხვედრა და აქტივობა/ღონისძიება გაიმართა. სხდომებზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 12 საკითხის განხილვა მოეწყო. 2022 წელსვე შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოს ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100077935759606.

მიმდინარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელთა შორისაა:

- **სამოქმედო გეგმის მზადება;**
- **საბჭოს სამუშაო და ოფიციალური შეხვედრები;**
- **კამპანია „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“;**
- **კამპანია „ ვარდისფერი ოქტომბერი“;**
- **გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის მზადება

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, დედაქალაქის გენდერული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის, სამოქმედო გეგმის მზადების პროცესს საანგარიშო პერიოდში არაერთი სხდომა და სამუშაო შეხვედრა დაეთმო.

2022 წელს სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობა დედაქალაქის მერიის ორგანიზებით გამართულ ორდღიან სამუშაო შეხვედრაზე დაიწყო, რომელსაც დედაქალაქის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრი ნინო ბურძენიძე, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ.

საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის პროექტის დეტალური განხილვა მოეწყო საბჭოს სხდომებზე (იხ. ქვემოთ) სხვადასხვა დროს, რომელთა შედეგადაც აღნიშნულ დოკუმენტში არაერთი პუნქტი ჩასწორდა.

სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად დედაქალაქის საკრებულოში ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა საბჭოს წევრებს, სახელმწიფო და კერძო უწყებების წარმომადგენლებსა და დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს შორის. შეხვედრას ესწრებოდა თბილისის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრი ნინო ბურძენიძე. შეხვედრაზე სამოქმედო გეგმის პროექტი მიმოიხილეს. მოწვეულმა სტუმრებმა შეხვედრის მონაწილეებს დოკუმენტთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები გააცნეს. სახელმწიფო და კერძო უწყებების წარმომადგენლები სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით გაზიარებაზე შეთანხმდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ: თბილისის კრიზისული ცენტრის (თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება) უფროსი ინდირა რობაქიძე, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი ანა მარგიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი სოფიო ჩოხელი, სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის წარმომადგენელი ანა ლობჟანიძე, ქალთა ფონდ „სოხუმის“ წარმომადგენელი ლიდა ჩიხლაძე.

ზემოხსენებულ სხდომებსა და სამუშაო შეხვედრებზე გამართული კონსულტაციების შედეგად, სამოქმედო გეგმის პროექტში ხუთი ძირითადი მიზანი განისაზღვრა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გაძლიერება;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებისა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;

4. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული, მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები:

სხდომა №1
1 თებერვალი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. მეშვიდე მოწვევის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობის გაცნობა და საბჭოს ძირითადი ამოცანების მიმოხილვა.

სხდომაზე საბჭოს ახალი შემადგენლობა წარადგინეს და მისი ძირითადი ფუნქციები, მიზნები და ამოცანები განიხილეს. სხდომის მონაწილეებს სიტყვით მიმართა მეექვსე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელმა მარიკა დარჩიამ, რომელმაც საბჭოს განვლილ საქმიანობაზე ისაუბრა. თბილისის მერის მრჩეველმა გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრმა ნინო ბურძენიძემ დედაქალაქის მერიის საქმიანობა გენდერულ ჭრილში წარადგინა.

სხდომა № 2
22 თებერვალი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და სკრინინგის შესახებ ცნობიერების გაზრდისათვის საინფორმაციო კამპანიის დაწყება.

საბჭოს წევრებმა განიხილეს ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისი - დაავადებათა სკრინინგის პროგრამა (უფასო გამოკვლევები) და მის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვაზე შეთანხმდნენ. სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს სკრინინგის საჭიროებაზე ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენციისა და დროული დიაგნოსტიკისათვის.

სხდომა № 3
25 თებერვალი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის ფარგლებში თბილისის მერიაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

საბჭოს წევრების წინაშე ანგარიშით წარდგა დედაქალაქის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრი ნინო ბურძენიძე და სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა გენდერული თანასწორობის ფარგლებში თბილისის მერიაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ანგარიშში ყურადღება დაეთმო დაგეგმილი ღონისძიებების, გენდერული ბიუჯეტის, "გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონისა და ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის მიმოხილვას.

სხდომა № 4
9 ივნისი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის წარდგენა.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა, წარადგინა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებსა და აღსრულების პროცესს განსაზღვრავს. მან ქალთა ეკონომიკური მდგომარეობისა და უფლებების გაძლიერების საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებზე, ქალების ძალადობისაგან დაცვასა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულის რეალიზებისათვის საჭირო სერვისების მიწოდებაზე ისაუბრა.

სამოქმედო გეგმის განხილვას ასევე ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც სიტყვით გამოსვლისას, ყურადღება გაამახვილეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში

ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაზე; გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებზე; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე.

სხდომა № 5
16 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვის დაგეგმვა;
2. „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში დასაგეგმი აქტივობების მიმოხილვა.
3. ნოემბრის თვეში, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების მიმოხილვა;

სხდომაზე ყურადღება გამახვილდა სამოქმედო გეგმის პროექტში არსებულ ხუთ ძირითად მიზანზე და უმოკლეს ვადებში მის დეტალურ განხილვასთან დაკავშირებით საბჭოს სხდომები ჩაინიშნა. სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ საბჭოს მიერ „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში დასაგეგმი აქტივობებისა და ნოემბრის თვეში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად 16 დღიან კამპანიასთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებებზე.

სხდომა № 6
20 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვა.

სხდომაზე სამოქმედო გეგმის პუნქტები დეტალურად განიხილეს. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებაზე, გენდერული სტატისტიკის როლის ამაღლებაზე, გენდერული აუდიტის უზრუნველყოფაზე, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმების დამკვიდრებაზე, სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის აუცილებლობასა და სხვა მნიშვნელოვან ამოცანებზე, რის შედეგადაც სამოქმედო გეგმის პროექტში არაერთი შესწორება გაკეთდა.

სხდომაზე გამოითქვა ინიციატივა გენდერული მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული, საკონსულტაციო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით - სამოქმედო გეგმის დოკუმენტის დამუშავების, დამტკიცებისა და აღსრულების პროცესის ეფექტური მართვის მიზნით.

სხდომა № 7
23 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვა;
2. საბჭოს მიერ სამომავლო აქტივობების დაგეგმვა;
3. ძუძუს კიბოს პრევენციის მიზნით დასაგეგმი აქტივობების მიმოხილვა.

საბჭოს წევრებმა სამოქმედო გეგმა განხილეს და გარკვეული პუნქტები შეასწორეს. სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციაზე, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად ეფექტური მექანიზმების დანერგვაზე და დედაქალაქის აღმასრულებელი ორგანოს სამსახურების წარმომადგენლებთან ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში გადანაწილების შესახებ შეხვედრების დაგეგმვაზე შეთანხმდნენ.

სხდომაზე გამოითქვა ინიციატივა, სკრინინგის დროულად ჩატარების მოწოდებით ვიდეორგოლების გადაღებაზე, აღნიშნული ვიდეომოწოდებების სოციალურ ქსელში გავრცელებასა და სკრინინგის ჩასატარებლად ეროვნულ სკრინინგ ცენტრებში საბჭოს წევრთა მიერ ორგანიზებული ვიზიტის უახლოეს პერიოდში დაგეგმვაზე.

სხდომა № 8
16 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომის დღის წესრიგი:

1. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის დაგეგმვა.

სხდომაზე იმსჯელეს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩასატარებელ ღონისძიებებზე. საბჭოს წევრებმა კამპანიის საწყის აქტივობად თბილისის სატელევიზიო ანძის, სიმბოლურად, ნარინჯისფრად განათება განსაზღვრეს და კამპანიის ფარგლებში ნარინჯისფერი სამაჯურების გამოყენებაზე შეთანხმდნენ, რამდენადაც ნარინჯისფერი აღნიშნული კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს. სხდომაზე, მასობრივი გავრცელებისთვის, საინფორმაციო ბროშურების დამზადება დაიგეგმა, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისების: კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებებისა და ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ. საბჭოს წევრებმა კამპანიის სლოგანზე იმსჯელეს და განიხილეს მოსაზრება, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მოწოდების შინაარსით 16 სხვადასხვა პროფესიის ცნობადი ადამიანის ვიდეომიმართვების ჩაწერაზე, შემდგომ მათ სოციალურ ქსელში, მათ შორის ქალთა ჯგუფებში გაზიარებასა და აღნიშნული კამპანიისათვის გამოწვევის ხასიათის მიცემაზე.

სხდომაზე გამოითქვა ინიციატივა, თბილისის კრიზისულ ცენტრში ვიზიტსა (თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება) და აღნიშნული დაწესებულების მომსახურების მიმღებ პირებთან შეხვედრაზე. მუნიციპალურ თეატრებში დაიგეგმა ძალადობის საკითხებზე სახელმწიფო სერვისებისა და საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ ინფორმაციის გამოცხადება სპექტაკლების დაწყებამდე.

სამუშაო და ოფიციალური შეხვედრები

საბჭოს თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივით შეხვედრები გაიმართა გენდერული მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების: „ქალები ცვლილებებისთვის“ და "დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი”(ICDI) წარმომადგენლებთან. შეხვედრები,

რომელთა მიზანი სამომავლო თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრა იყო, გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული გამოწვევების განხილვას დაეთმო. მონაწილეებმა იმსჯელეს ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მექანიზმებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მათ თანაბარ ჩართულობაზე.

თბილისის საკრებულოში გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. შეხვედრას ესწრებოდა თბილისის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრი ნინო ბურძენიძე. გამგეობების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს შეხვედრაზე გამოთქმულ არაერთ ინიციატივას. მათ შორის, მზადყოფნა გამოთქვეს ქალთა ონკოლოგიური დაავადებების ცნობადობის ამაღლების მიზნით დაგეგმილ კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მიღებაზე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, თინათინ ნიბლოშვილის, ინიციატივით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოსთან, რომლის შემადგენლობაში თბილისში მცხოვრები 15 თემის წარმომადგენლები შედიან და მისი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება გენდერული თანასწორობაა. შეხვედრაზე განიხილეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: ნაადრევი ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ქალების უფლებების დაცვა, ენობრივი ბარიერი, ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება. სამუშაო შეხვედრა თბილისის საკრებულოში გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობები დაიგეგმა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს პროგრამული ბიუჯეტის გენდერული ანალიზის საკითხებზე გამართულ ორდღიან ტრენინგზე, სადაც განიხილეს ისეთი საკითხები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ბიუჯეტირების პროცესის დახვეწასა და გაძლიერებას უჭერს მხარს. მათ შორის, აღსანიშნავია: გენდერულად მგრძნობიარე პროგრამების იდენტიფიცირების საკითხი (მისი შედეგებისა და ინდიკატორების ფორმულირება), გენდერული თანასწორობა და ბიუჯეტირება, გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება პროგრამულ ბიუჯეტში და სხვა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა ვარშავის ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლეს. დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში საბჭოს წევრებმა - უმრავლესობის წევრებმა ანა კაკაბაძემ და გურამ ოქროპირიძემ, ოპოზიციის წარმომადგენლებმა ანა გოგოლაძემ და ნინო წულაძემ, ასევე დედაქალაქის მერის მრჩეველმა გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრმა, ნინო ბურძენიძემ - ვარშავის დელეგაციის წევრებს ინფორმაცია მიაწოდეს გენდერული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. მხარეებმა ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და ეუთო-ს ერთობლივ კონფერენციას დაესწრნენ საბჭოს თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი და საბჭოს წევრი ნინო ვარდოსანიძე. შეხვედრა შეეხებოდა ქართულ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს, მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ გზებსა და ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობასთან დაკავშირებით არსებულ ბარიერებს. ღონისძიებაზე გაიმართა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელოს პრეზენტაცია თემაზე: „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პოლიტიკაში“.

საინფორმაციო კამპანია “ შენი სიცოცხლე შენს ხელშია“

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ წლის განმავლობაში ინიცირებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია საინფორმაციო კამპანია "შენი სიცოცხლე შენს ხელშია“, რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისის - დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო გამოკვლევები) შესახებ ცნობიერების გაზრდა გახლდათ. კამპანია საბჭოს ინიციატივით, „ევროპა დონა საქართველოსა“ და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა.

სკრინინგის ჩატარების აუცილებლობა, დროული დიაგნოსტიკა და პრევენცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და მათი გავრცელების შეზღუდვა, მკურნალობის დროული დაწყება და რისკების შემცირება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მოტივაცია და მათ მიმართ სოლიდარობის გამოხატვა იყო საინფორმაციო კამპანიის ყველა ღონისძიების/აქტივობის, სხდომისა და სამუშაო შეხვედრის მთავარი გზავნილი, რომელიც საბჭოს ფარგლებში დაიგეგმა და მისი ეგიდით წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს გაიმართა.

კამპანია მიმდინარე წლის მაისში თბილისის საკრებულოში გამართული პრეზენტაციით დაიწყო და საზოგადოებას მის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა. მათ შორის: საჯარო უწყების თანამშრომლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და სკრინინგის ჩატარება, საკრებულოს თანამშრომლებისა და ბენეფიციარების ერთობლივი სპორტული აქტივობები, ფოტო კამპანია და სოციალურ ქსელში სხვადასხვა გამოწვევა. ცნობილი გახდა, რომ კამპანია რამდენიმე ეტაპს მოიცავს და მასში ჩართული იქნებიან როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურის წარმომადგენლები. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები, ონკოლოგები, ბენეფიციარები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა საბჭოს წევრებს, ,,ევროპა დონა საქართველოს“ ხელმძღვანელს, ანა მაზანიშვილს, პროგრამის ბენეფიციარებსა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს შორის. შეხვედრის მონაწილეებმა მოისმინეს სარეკომენდაციო ხასიათის ინფორმაცია ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისა და სწორი მართვის შესახებ.

ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის ლისის ტბის ტერიტორიაზე ,,ვარდისფერი მარათონი“ გაიმართა, სადაც ფეხითა და ველოსიპედით გარბენი მოეწყო. მარათონის პარალელურად, სკრინინგის ჩატარების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე საინფორმაციო ბროშურები დარიგდა, რის შემდგომაც, მარათონში მონაწილეთა ფოტოსესია შედგა. აქტივობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის საკრებულოს, „ევროპა დონა საქართველოს“, ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლებმა და ბენეფიციარებმა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა თანადგომისა და მოტივაციისათვის, კამპანიის „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ ფარგლებში, დედაენის ბაღში მათ მიერ, ასევე მათი ოჯახის წევრებისა და მხატვრების მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და ფერწერული ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი“

გენდერული თანასწორობის საბჭო, ოქტომბრის თვეში, ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისა და ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიას „ვარდისფერი ოქტომბერი“ არაერთი აქტივობით შეუერთდა. კამპანია, რომელიც „ევროპა დონა საქართველოსა“ და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა, ოქტომბრის დასაწყისში, თბილისის სატელევიზიო ანძის, სიმბოლურად, ვარდისფრად განათებით დაიწყო.

მორიგი აქტივობა სოციალურ ქსელში მოეწყო და კამპანიას გამოწვევის ხასიათი მიეცა - მონაწილეებმა ხელისგულზე დახატული, ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო, ვარდისფერი ლენტის ფოტოები გააზიარეს.

ონკოპაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო, ცოცხალი ჯაჭვი შეიკრა საბჭოს წევრების, „ევროპა დონა საქართველოსა“ და ეროვნული სკრინინგ ცენტრის წარმომადგენლების მიერ. ღონისძიებაზე დარიგდა საინფორმაციო ბროშურები ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისის - დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო გამოკვლევები) შესახებ.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია

„არა ქალზე ძალადობას“, „დუმილი გამოსავალი არ არის“ - ამ სლოგანებითა და სხვადასხვა ღონისძიებით ჩაერთო საბჭო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიაში, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით აღინიშნება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით. კამპანიის დაწყების დღეს თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ნარინჯისფრად განათდა, რომელიც კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოწოდებებს შეუერთდნენ დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატები, რომელთაც საკრებულოს სხდომაზე კამპანიის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს.

„არა ქალზე ძალადობას“ კამპანიის 16 დღის განმავლობაში საბჭოს თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივით, სოციალურ ქსელში, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მოწოდების შინაარსით 16 სხვადასხვა პროფესიის ცნობადი ადამიანის ვიდეომიმართვა გავრცელდა.



























ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის, მის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო ბროშურები გავრცელდა დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. აღნიშნულ კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართული თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები. კამპანია "არა ქალზე ძალადობას" საბჭოს ინიციატივით დაიგეგმა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე არსებულ თბილისის კრიზისულ ცენტრთან (თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება) თანამშრომლობით განხორციელდა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, კამპანიის „არა ქალზე ძალადობას" ფარგლებში, თბილისის კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღები პირები მოინახულეს და ცენტრის მუშაობის სტრუქტურას გაეცნენ.

თბილისის საკრებულოში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა საბჭოს თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილს, საბჭოს წევრ ნინო რუხაძესა და თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლებს შორის, რომლებიც გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქმიანობენ. შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ კამპანიის „არა ქალზე ძალადობას“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, საბჭოს თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა და თბილისის კრიზისული ცენტრის (თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება) უფროსმა, ინდირა რობაქიძემ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, რომელიც კომპანია „ენკომის“ ინიციატივით დაიგეგმა. შეხვედრას ესწრებოდა დედაქალაქის მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრი ნინო ბურძენიძე. სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდათ დედაქალაქის მართვის პროცესში საკრებულოს ფუნქციებისა და მისი საქმიანობის შესახებ. თბილისის კრიზისული ცენტრის უფროსმა ისაუბრა ძალადობის კუთხით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო სერვისები - კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებები.

მნიშვნელოვანი იყო ძალადობის წინააღმდეგ კამპანიაში თბილისის მუნიციპალური თეატრებისა და კინოთეატრ „კავეას“ ჩართულობა. საბჭოს ინიციატივით, სპექტაკლების დაწყებამდე, თეატრებში ცხადდებოდა ინფორმაცია ძალადობის საკითხებზე არსებული სახელმწიფო სერვისებისა და საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ. კინოთეატრ „კავეაში“ კი კინოჩვენებების დაწყებამდე ეკრანზე კამპანიის მხარდამჭერი ბანერი ჩნდებოდა. საბჭოს წევრები და თბილისის კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმღები პირები კამპანიის დასასრულს სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის მუნიციპალურ თეატრს ესტუმრნენ, სადაც თეატრალიზებული წარმოდგენა „ცილინდრი“ გაიმართა.

თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლებთან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თემაზე, მორიგი საინფორმაციო შეხვედრა გამართა საბჭოს თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, საბჭოს წევრმა, ნინო რუხაძემ და თბილისის კრიზისული ცენტრის (თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება) უფროსმა, ინდირა რობაქიძემ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობენ, თბილისის კრიზისული ცენტრის უფროსმა დეტალურად გააცნო ის სერვისები (კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების მომსახურებები), რასაც სახელმწიფო სთავაზობს მოქალაქეებს ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების უზრუნველსაყოფად. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდეს ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით სხვადასხვა თემში არსებული მდგომარეობის შესახებ. შეხვედრაზე სამომავლო აქტივობები დაიგეგმა.

დედაქალაქის გენდერული სტრატეგიის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების აღსრულების, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვისა და მზადების მიზნით, გენდერული თანასწორობის საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობდა ადგილობრივ, სახელმწიფო და კერძო უწყებებთან.

პატივისცემით,

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

CHAIRMAN OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ბრძანება:№03. 03223001

თარიღი:27/10/2022

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 იანვრის №03.03220281 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 იანვრის №03.03220281 ბრძანებაში და ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებული დანართი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება, შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა

1. თინათინ ნიბლოშვილი - საბჭოს თავმჯდომარე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე);

2. ნინო ვარდოსანიძე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე);

3. გურამ ოქროპირიძე - საბჭოს მდივანი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

4. ნიკოლოზ კახეთელიძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

5. ოთარ გრიგოლია - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე);

6. ნინო რუხაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე);

7. სოფიო ჯაფარიძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე);

8. ანა გოგოლაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე);

9. ვლადიმერ ბოჟაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

10. ანა კაკაბაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

11. მარიამ ზაქარიაშვილი - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

12. ნათია მოდებაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

13. ნინო წულაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

14. ლილე ლიპარტელიანი - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

15. ნინო კვიტაიშვილი - საბჭოს წევრი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

16. სალომე კობალაძე - საბჭოს წევრი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

17. ვახტანგ სურგულაძე - საბჭოს წევრი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

18. ბარბარა ჯიმელი სულაშვილი - საბჭოს წევრი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი);

19. ელენე დუმბაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი));

20. ელეონორა კაპანაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე));

21. მაია გეგია - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე));

22. ნინო ბურძენიძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, მერის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებზე);

23. მარიკა დარჩია - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი);

24. ნინელი ფუტკარაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი));

25. თათია ჩახვაშვილი - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი);

26. მამუკა ბალიაშვილი - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სახელდების და სიმბოლიკის კომისიის სამდივნოს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი));

27. ნინო ვაშაკიძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნოს II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი));

28. ნინო ჩიმაკაძე - საბჭოს წევრი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი).